სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“

პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით - კვლევის მეთოდოლოგია

1. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა წინამდებარე კითხვარისა და კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში დაწესებულების თვითშეფასების ერთ - ერთ ინსტრუმენტს;
2. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის მიზანია:
   - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიული სტუდენტებისაგან მოპოვებული იქნას ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასები მიზნით;
   - კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გამოყენებული იქნას დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
3. პროფესიული სტუდენტების კვლევის ამოცანაა პროფესიული სტუდენტებისაგან ინფორმაციის მოპოვება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ქვემოთ ჩამოთვლილ ცალკეული ქვესტანდარტთან თუ ინდიკატორთან მიმართებაში:
   - მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება პროფესიული სტუდენტებისათვის;
   - პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;
   - პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები;
   - სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;
   - პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება;
   - მატერიალური რესურსისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
   - IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
4. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე პირები (90%) ;
5. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი;
6. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგის დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით;
7. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით.
8. კითხვარის შეთანხმება ხდება ხარისხის მართვის მენეჯერთან. საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება;

9. კითხვარი განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე (http://blacksea.edu.ge/);

10. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას ორგანიზებას უკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი პროგრამების ხელმძღვანელებისა და დუალური პროგრამების კოორდინატორის მხარდაჭერით;

11. ავტორიზაციის წინამდებარე კითხვარით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 6 სასწავლო კვირის შემდეგ, VII – VIII სასწავლო კვირეებში;

12. თითოეული პროგრამის ყველა პროფესიული სტუდენტი (ჯგუფი) ინფორმირდება კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;

13. სავალდებულოა პროფესიული სტუდენტი ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;

14. პროფესიული სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვა შესაძლებელია ჩატარდეს კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სტუდენტი უფლებამოსილია ინდივიდუალურად შეავსოს კითხვარი, მიწოდებიდან მაქსიმუმ 3 დღის ვადაში;

15. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად და მზადდება დასკვნა, კვლევის დასრულებიდან მაქსიმუმ ორი კვირის პერიოდში;

16. პასუხისმგებლობა დირექციისათვის ანალიზის წარდგენასთან დაკავშირებით ეკისრება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელიც ვალდებულია იდენტიფიცირებულ გასაუმჯობესებელ საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს კონკრეტული რეკომენდაციები, ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფთან შეთანხმებით;

17. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი საკითხების განმეორებითი შესწავლა განხორციელდება თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, ფოკუს - ჯგუფებში, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით გონივრულ ვადებში.

18. წინამდებარე კითხვარი კვლევისათვის გამოიყენება მინიმუმ ერთჯერ , ხოლო იმ პროგრამაზე რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს სავალდებულოა პროგრამის დასრულებამდე ერთი თვით ადრე რაოდენობრივი კვლევის განმეორება;

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ პროფესიული სტუდენტის გამოკითხვა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით

გამოკითხვის მიზანია სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ პროფესიული სტუდენტებისაგან მოპოვებული იქნას ინფორმაცია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობასთან (I, III, IV და V სტანდარტები) დაკავშირებით.

გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ფორმას და თქვენს მიერ მოწოდებული მონაცემები გამოყენებული იქნება მისი განზოგადების მიზნით.

თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვეხმარება დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

1. **იცნობთ თ უ არა სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ მისიას და ხედვას?**
   - დიახ
   - არა

2. **იცნობთ თუ არა სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ღირებულებებს?**
   - დიახ
   - არა

3. **კოლეჯს გაფორმებული აქვს თუ არა თქვენთან/არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სასწავლო ხელშეკრულება?**
   - დიახ
   - არა

4. **დაწესებულებამ გაგაცნოთ თუ არა თქვენი უფლებები და მოვალეობები?**
   - დიახ
   - არა

5. **„დიახ“** პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, აირჩიოთ შესაბამისი **პასუხი**
   - პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებს გავეცანი ხელშეკრულების გაფორმების/ხელმოწერის დროს
   - პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები გაგვაცნო ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სწავლის დაწყების შემდეგ

6. **გთხოვთ, მიუთითოთ სად გაიარეთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე რეგისტრაცია?**
   - რეგისტრაცია გავიარე კოლეჯში
   - რეგისტრაცია გავიარე რესურსცენტრში
   - გავიარე ონლაინ რეგისტრაცია
7. **კოლეჯში ჩარიცხვისას გაგიწიეს თუ არა საპროფორიენტაციო კონსულტაცია?**
   - დიახ, მივიღე სრულყოფილი კონსულტაცია
   - კონსულტაცია მივიღე, მაგრამ არ მიმიღია სრულყოფილი ინფორმაცია
   - არ მომითხოვია კონსულტაცია
   - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....
8. **კოლეჯში ჩარიცხვამდე იყავით თუ არა ინფორმირებული კოლეჯში ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით?**
   - ვფლობდი სრულყოფილ ინფორმაციას
   - მეტ - ნაკლებად ვიყავი ინფორმირებული
   - არ მომხდარა ჩემი ინფორმირება
   - (სხვა) .....
9. **იყავით თუ არა ინფორმირებული პროფესიული ტესტირების დროს ჩასაბარებელი ტესტების თაობაზე?**
   - ვფლობდი სრულყოფილ ინფორმაციას
   - მეტ - ნაკლებად ვიყავი ინფორმირებული
   - არ მომხდარა ჩემი ინფორმირება
   - არ გამივლია პროფესიული ტესტირება **(დუალური პროგრამის სტუდენტისათვის)**
10. **იყავით თუ არა ინფორმირებული დუალურ პროგრამაზე კოლეჯის მიერ შემუშავებულ კონკურსის პირობებთან და პარტნიორ კომპანიებთან დაკავშირებით?** (შეკითხვა განკუთვნილია მხოლოდ დუალური პროგრამის სტუდენტისათვის)

- ვფლობდი სრულყოფილ ინფორმაციას
- მეტ - ნაკლებად ვიყავი ინფორმირებული
- არ მომხდარა ჩემი ინფორმირება

11. ხართ თუ არა ინფორმირებული რა შემთხვევაში ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა?

- დიახ
- არა

12. ხართ თუ არა ინფორმირებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით?

- დიახ
- არა

13. ხართ თუ არა ინფორმირებული პროფესიული სტუდენტის სხვა დაწესებულებაში ან სხვა პროგრამაზე მობილობასთან დაკავშირებით?

- დიახ
- არა

14. იცნობთ თუ არა კოლეჯში არსებულ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემას?

- დიახ
- არა

15. „დიახ“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, უპასუხოთ - ვინ გაგაცნოთ კოლეჯის შეფასების სისტემა **(შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)**

- პროგრამის ხელმძღვანელმა
- მოდულის განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა
- ხარისხის მართვის მენეჯერმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტმა
- (სხვა).....

16. **იცნობთ თუ რა პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესს?**

- დიახ
- არა

17. **გაგისაჩივრებიათ თუ არა თქვენი შეფასება მინიმუმ ერთჯერ?**

- დიახ
- არა

18. **„დიახ“** პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, უპასუხოთ - შეფასების გასაჩივრების პროცესში დაცული იყო თუ არა თქვენი უფლებები?

- დიახ
- არა

19. **ღებულობთ თუ არა კოლეჯისაგან სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?**

- დიახ
- არა

20. **„დიახ“** პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, უპასუხოთ - ვინ გიწევთ მხარდაჭერასა და კონულტირებას (**შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)**

- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი
- ხარისხის მართვის მენეჯერი
- სასწავლო პროცესის მენეჯერი
- ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
- დუალური პროგრამების კოორდინატორი (დუალური პროგრამების შემთხვევაში)
- (სხვა).....

21. **უწყობს თუ არა კოლეჯის ადმინისტრაცია და პედაგოგიური რესურსი ხელს პროფესიულ სტუდენტებს რომ ისინი ადვილად მოერგონ კოლეჯის სასწავლო გარემოს და თავი კომფორტულად იგრძნონ სწავლის პირველივე დღეებიდან?**

- დიახ, კოლეჯის ადმინისტრაცია და პედაგოგიური რესურსი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან
- კოლეჯში ამ მიმართულებით არ მუშაობენ
- ვისურვებდი, რომ უკეთესად მუშაობდნენ

22. უწევს თუ არა კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას“ (გონივრულ ვადებში გიგვარებენ თუ არა სასწვალო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს)
    - მივმართე და საკითხი დროულად მომიგვარეს
    - მივმართე და საკითხი დროულად ვერ მომიგვარეს
    - მივმართე და საკითხი არ მომიგვარეს
    - არ მქონია ასეთი საჭიროება

23. **უზრუნველყოფს თუ არა კოლეჯი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას?**
    - დიახ
    - არა
    - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

24. **აუმჯობესებს თუ არა კოლეჯი პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე ?**
    - დიახ
    - არა
    - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

25. **ღებულობთ თუ არა კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების**

შესაძლებლობებთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე სწორი პასუხი)

- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე
- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდება ვებ - გვერდზე
- კოლეჯს არ აქვს მსგავსი მომსახურების სერვისი
- (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

26. გაქვთ თუ არა კოლეჯში სივრცე სადაც შეგიძლიათ განახორციელოთ თავისუფალი აქტივობები სასწავლო პროცესს მიღმა?

- დიახ
- არა
- (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

27. რამდენად არის უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესი პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით?

- უზრუნველყოფილია
- არ არის უზრუნველყოფილი

28. „ბ“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, განმარტოთ

.....

29. რამდენად არის უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესი აუცილებელი მასალა - ნედლეულით?

- უზრუნველყოფილია
- არ არის უზრუნველყოფილი

„ არ არის უზრუნველყოფილი“ პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, განმარტოთ

.....

30. დაცულია თუ არა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უსაფრთხოების ნორმები?

- დაცულია
- არ არის დაცული

,, **არ არის დაცული** “ **პასუხის** შემთხვევაში, გთხოვთ, განმარტოთ

.....

31. **რამდენად ხშირად სარგებლობთ ბიბლიოთეკის მატერიალური ან/და ელექტრონული ლიტერატურით?**
    - სისტემატიურად
    - იშვითად
    - არ ვსარგებლობ
    - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

32. **ხართ თუ არა ინფორმირებული როგორ შეგიძლიათ ისარგებლოთ კოლეჯის ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისიტემით - openbiblio**
    - დიახ
    - არა
    - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

33. **რამდენად ხელმისაწვდომია კოლეჯში პროფესიული სტუდენტისათვის პირველადი გადაუდებელი მომსახურება?**
    - ხელმისაწვდომია
    - არ არის ხელმისაწვდომი
    - (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

34. **ხართ თუ არა ინფორმირებული რამდენად დაცული იქნება კოლეჯის მხრიდან თქვენი პერსონალური მონაცემები?**
    - ინფორმირებული ვარ
    - არ ვარ ინფორმირებული

35. გაქვთ თუ არა კოლეჯისათვის მიცემული თანხმობა, რომ კოლეჯს შეუძლია თქვენი პერსონალური მონაცემები მიაწოდოს დამსაქმებელს ან სხვა ორგანიზაციას/ფიზიკურ პირს თუ ეს საჭიროა სასწავლო პროცესისა თუ დასაქმების მიზნებიდან გამომდინარე?

- დიახ, მიცემული მაქვს წერილობითი თანხმობა (ხელმოწერით)
- დიახ, განვაცხადე უარი (ხელმოწერით)
- ასეთი კომუნიკაცია კოლეჯის წარმომადგენელთან არ მქონია

36. არის თუ არა ხემისაწვდომი კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა?

- დიახ
- არა
- (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

37. უზრუნველყოფს თუ არა კოლეჯი თქვენს ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე (დაწესებულებაში არსებული) ერთიანი საკომუნიკაციო მექანიზმით?

- დიახ
- არა
- (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

38. გთხოვთ, აირჩიოთ კომუნიკაციის თქვენთვის სასურველი ფორმა კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- ინფორმაციის ვებ - გვერდზე განთავსება
- ინფორმაციის სოციალურ ჯგუფში განთავსება
- კომუნიკაცია სატელეფონო მესიჯის საშუალებით
- (შეგიძლიათ ჩაწეროთ).....

39. რამდენად ხშირად ეცნობით კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას?

- სისტემატიურად
- იშვიათად
- არ ვეცნობი

40. დაწერეთ კოლეჯის ვებ გვერდის მისამართი

.....

41. რამდენად ხშირად ეცნობით კოლეჯის სოციალურ გვერდზე (facebok - კოლეჯი ბლექსი) განთავსებულ ინფორმაციას?

- სისტემატიურად
- იშვიათად
- არ ვეცნობი

42. გთხოვთ, ჩამოწეროთ საკითხები რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე კითხვარში და საჭიროებს მოგვარებას

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....